მშენებლობის წარმოება - იატაკისა და ფილის სამუშაოები (დუალური მიდგომით)

მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია: მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია იატაკისა და ფილის სამუშაოებში - Third level vocational qualification in floor and tile works

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: საბაზო განათლება

კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს სამოქალაქო და სამრეწველო შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე ღია ან/და დახურულ სივრცესა და სიმაღლეზე. ის შეიძლება იყოს თვითდასაქმებული ან დასაქმდეს სხვადასხვა ტიპის სამშენებლო-სარემონტო და დიზაინერულ კომპანიებში, სახელმწიფო ან კერძო საწარმო-დაწესებულებაში, რომელთა საქმიანობა დაკავშირებული იქნება შენობა-ნაგებობის მშენებლობასა ან მის რეკონსტრუქცია-გაძლიერებასთან. მას სამუშაოების შესრულება მოუწევს სხვადასხვა კლიმატის პირობებში.

დასაქმების პოზიციები შესაძლებელია იყოს: სხვადასხვა სახის იატაკის მომწყობი; მომპირკეთებელი; ფილის დამგები; სამუშაო რგოლის უფროსი; ბრიგადის უფროსი.

მიზანი: პროგრამის მიზანია მოამზადოს უზრუნველყოს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება.

სწავლის შედეგები:

პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

1. მართოს ინფორმაცია პროფესიის შესახებ;
2. დასახოს და განახორციელოს პროფესიული ზრდისა და განვითარების კონკრეტული მიზნები;
3. წაიკითხოს/გაარჩიოს სამშენებლო ნახაზები ტექნოლოგიური პროცესების შესასრულებლად;
4. შეასრულოს სადემონტაჟო სამუშაოები კონსტრუქციული სქემის შესაბამისად;
5. უზრუნველყოს სამშენებლო მასალების შენარჩუნება მეორეული გამოყენებისათვის
1. მოაწყოს სამუშაო ადგილი/უბანი/ფრონტი;
2. მოამზადოს იატაკი და კედელი მოსაპირკეთებლად;
3. დაახარისხოს/დაჭრას ფილები სხვადასხვა ფორმებად;
4. მოამზადოს დუღაბი და წებო-ცემენტის ნაზავი ფილებისა და მოზაიკური ფილები დასაგებად;
5. დაამუშაოს/მოაპირკეთოს გამშრალი დუღაბი და ქვიშა-ცემენტის ხსნარით დამზადებული იატაკი;
6. დააგოს სხვადასხვა ზედაპირის იატაკი.

პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა:

- **მოცულობა:** 77 კრედიტი
- **სავარაუდო ხანგრძლივობა:** 2 წელი.

პრაქტიკული კომპონენტის სწავლებაში ჩართული პარტნიორი ორგანიზაციები:

1. შპს ,,ანაგი"
2. შპს ..ოცნების სახლი“